წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის

შესახებ ანგარიში

საკრებულოს წევრის სახელი, გვარი - რომან კვარაცხელია
თანამდებობის დასახელება - სამანდატო, იურიდიული და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

ფრაქციის დასახელება - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"
კომისი(ებ)ის დასახელება - სამანდატო , იურიდიული და საპროცედურო საკითხთა კომისია.

არჩევის წესი (მაჟორიტარული ოლქის მითითებით)- მაჟორიტარული, 68.06 ოლქი

საანგარიშო პერიოდი - 2022 წლის 01 ნოემბრიდან 2023 წლის 01 ნოემბრამდე

ანგარიშის ტიპი (რიგითი, რიგგარეშე) - რიგითი

I.საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა:

1.სულ საკრებულოს სხდომის რაოდენობა - 24
საკრებულოს სხდომებზე დასწრება - 24

2.სულ კომისიის სხდომების რაოდენობა - 26 **მ/შ დროებითი კომისიების-**
კომისიის სხდომებზე დასწრება - 24

3.სულ ფრაქციების სხდომების რაოდენობა - 9
ფრაქციის სხდომებზე დასწრება - 9

4. საკრებულოს წევრების მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები:

- წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ.
- წალენჯიხის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტის თაობაზე;
- საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან წალენჯიხის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი საპროექტო წინადადებების მოწონების თაობაზე;
- საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების თაობაზე;
- ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების დაფინანსების ინიცირების მიზნით, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტებთან შესაბამისობაში დადასტურებული წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერის მიერ მომზადებული

წინადადების მოწონების თაობაზე და აღნიშნულ განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე;

- სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დასაფინანსებელი პროექტების შესახებ;

- წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ მშენებლობის შეჩერების შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღების ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესრულების კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე;

- წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ჯგალის ადმინისტრაციული ერთეულის მე-20 ქუჩისთვის, აფხაზეთის ომში დაღუპული მალხაზ ხარჩილავას სახელის მინიჭების თაობაზე;

- გეოგრაფიული ობიექტის სახელდების დადგენილი წესიდან გამონაკლისის დაშვების მიზანშეწონილობის თაობაზე;

- წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ზოგიერთ ადმინისტრაციულ ერთეულში სახელწოდების არმქონე გეოგრაფიული ობიექტების (ქუჩა, ჩიხი, შესახვევი) არაბული ციფრებით სახელდების შესახებ;

- „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებისა და საჯარიმო ქვითრის (ოქმის) ფორმების, მათი შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ" და აღნიშნულ წესში ცვლილების შეტანა;

- ცვლილება წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტში.

5. ის საკითხები, რომლებსაც საკრებულოს წევრმა მხარი არ დაუჭირა:

- წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ ბულვარში, პარკში ან სკვერში წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის ყოფნის აკრძალვასთან დაკავშირებული ღონისძიებების გატარების წესის დამტკიცების შესახებ;

6. მოქალაქეებთან შეხვედრების რაოდენობა - 22
შეხვედრებზე მონაწილე მოქალაქეთა რაოდენობა - 320

7. მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოთქმული ძირითადი საკითხები
- ნაკიფუს ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა გზებისა და სასმელი წყლის რეაბილიტაცია;
- ნაკიფუს ადმინისტრაციულ ერთეულის ზედა ულურიის უბანში დამეწყრილი სავალი გზის გაფართოება - მოხრეშვა;
- მიქავას ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა გზებისა და სასმელი წყლის რეაბილიტაცია;
- მიქავას ადმინისტრაციულ ერთეულში ლეჯოლიხე - მუხურის დამაკავშირებელი გზის რაბილიტაცია.

- მიქავას ადმინისტრაციულ ერთეულის საზოგადოებრივი ტრანსპორტით უზრუნველყოფა , ასევე სამანქანო-სავალ ნაწილზე ხელოვნური ბარიერების დამონტაჟება.

8. მოქალაქეთა პრობლემებზე საკრებულოს წევრის რეაგირების ფორმები (მათ შორის, დადებითად გადაწყვეტილი კონკრეტული საკითხები)

- მიქავას ადმინისტრაციულ ერთეულში მიმდინარეობს სასმელი წყლის სარეაბილიტაციო სამუშაოები, ასევე ლეჯოლიხე-მუხურის დამაკავშირებელი გზის მოასფალტებაზე გამოცხადებულია ტენდერი.
- ნაკიფუს ადმინისტრაციულ ერთეულში ზედა ულურიის უბანში განხორციელდა დამეწყრილი სავალი გზის გაფართოება - მოხრეშვა, ხოლო სალუკაოს უბანში მიმდინარეობს სასმელი წყლის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

II. საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა

კომისიის სხდომებზე განხილულ იქნა საკითხები რომლებიც დაფექსირებულ იქნა შეხვედრებზე მოსახლეობის მიერ და გადაეგზავნა მერიას შემდგომი რეაგირებისათვის.

ასევე ვარ საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაცრონალური მოძრაობა“ წევრი და მონაწილეობა მივიღე ფრაქციის მიერ გამართულ ყველა სხდომაში. ასევე ვმონაწილეობდი როგორც მერიის სამსახურების ღონისძიებებში ასევე არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გამართულ ტრენინგ-სემინარებში.

შევსების თარიღი _ 30.10.2023 წ.

წარდგენის თარიღი - 30.10.2023წ

ხელისმოწერა _____